ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი №4

დაბა ქედა 17 აგვისტო, 2021 წელი

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 11:40 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ზურაბ თავდგირიძე - კომისიის წევრი;
თემურ ავალიანი - კომისიის წევრი;
ბადრი შავლიძე - კომისიის წევრი;
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
რამინ ბერიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ლაშა ბერიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

17.08.2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ბადრი შავლიძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	თემურ ავალიანი	კომისიის წევრი	
5	ზურაბ თავდგირიძე	კომისიის წევრი	
6	რამინ ბერძე	კომისიის წევრი	
7	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლის გობრონეთის დაწყებით კლასებზე ნოდარ ნაკაშიძის სახელის მინიჭების შესახებ;

2. სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლისთვის - სსიპ ნინა ვაჩეიშვილის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლის სახელის მისანიჭებლად თანხმობის მიცემის შესახებ.

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლის დირექტორის - ომარ ბოლქვაძის 2021 წლის 4 ივლისის №MES 2 21 0000667230 წერილი (შემოსული დოკუმენტი №61/04; 05.07.2021 წელი), რომლითაც წარმოდგენილია 2021 წლის 22 ივნისის, სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს №5 სხდომის ოქმი. საბჭოს გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად არის მიჩნეული სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლის მიერთებულ გობრონეთის დაწყებით კლასებს ღვაწლმოსილი და დამსახურებული პედაგოგის ნოდარ ნაკაშიძის სახელის მინიჭება, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისაღები აქვს გადაწყვეტილება სახელის მინიჭებაზე უარის თქმის ან სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესი, რომელიც არ ითვალისწინებს დაწყებით კლასებზე ცალკე სახაელის მინიჭებას, რადგანაც ის წარმოადგენს არსებული სკოლის განუყოფელ ნაწილს და სახელდება არსებული სკოლის შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა განმარტეს, რომ სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლის მიერთებულ გობრონეთის დაწყებით კლასები არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს, შესაბამისად არ გააჩნია იურიდიული დასახელება და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვერ იმსჯელებს სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლის გობრონეთის დაწყებით კლასებზე სახელის მინიჭებაზე უარის თქმის ან სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ. შესაბამისად მიზანშეწონილია სკოლის სამეურვეო საბჭომ განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება მოქმედი კანონმდებლობის გათვალსიწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლის გობრონეთის დაწყებით კლასებზე სახელის მინიჭების შესახებ კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 5

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეუწონლად ჩაითვალოს სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლის გობრონეთის დაწყებით კლასებზე ნოდარ ნაკაშიძის სახელის მინიჭების შესახებ საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლის დირექტორის - ზეინაბ ბერიძის 2021 წლის 9 ივლისის №MES 4 21 0000693116 წერილი (შემოსული დოკუმენტი №65/04; 09/07.2021 წელი), რომლითაც წარმოდგენილია 2021 წლის 21 ივნისის, სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს №5 სხდომის ოქმი. საბჭოს გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად არის მიჩნეული სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო

სკოლისთვის ნინა ვაჩეიშვილის სახელის მინიჭება, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისაღები აქვს გადაწყვეტილება სახელის მინიჭებაზე უარის თქმის ან სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლისთვის ნინა ვაჩეიშვილის სახელის მინიჭებაზე კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლისთვის ნინა ვაჩეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე